ცნობის ფურცელი

№ 2229 თხშაბათი 6 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2229

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და ცალკე ნომრები მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-ნაწერები უკან არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

დღესასწაულის გამო ხუთშაბათს, 7 აგვისტოს, არ გამოვა არც გაზეთისა და არც სურათებიან დამატების ნომერი.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

სავაჭრო სახლი ლეოპოლდ ნეიშელლერი

აგვისტოს შუა რიცხვებში ჰხსნის

კალოშების საწყობს

ერევნის მოედანზე, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სახლში.

კალოშები რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობისაა.

გაიმართება აგრეთვე ვაჭრობა ტყავეულობის ნაწარმოებისა რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (3—2)

ფოთის საბუჰალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს. (ნ. 0—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გელოვანოვსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ნ. (წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქალების

პროგიმნაზია

ელენე ბახტამისა

დ. ზონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება ყველა კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (ნ. 3—3)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5.—7)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. მარსელში კომბის პატივსაცემლად კვირა დღეს დიდი ნადიმი გამართეს. ამ ნადიმს 3,500 კაცი დაესწრო. ნადიმის დროს პირველმა მინისტრმა დიდი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა.

კომბმა სთქვა: ესეთი მიღება ძლიერ მახარებს, რადგან ვხედავ, რომ თუ მთავრობა თავის პოლიტიკას არ გადაუხვევს, პარლამენტის უმეტესობის ყველა პარტიაც თავის დახმარებას არ მოაკლებს: ამას გარდა ჭრელი ოპოზიციაც დარწმუნდება, რომ მთავრობასა და უმეტესობის შუა დიდი თანხმობა სუფევს და „უკან დახევის სამინისტროს" წამი ჯერ არ მოსულა. კომბმა გაიხსენა, თუ რანაირად ცდილობდნენ სამინისტროს დამხობას და მერე მეტად გესლიანად ილაპარაკა ცენტრის რესპუბლიკელებსა და ლიბერალებზე. ლიბერალები აცხადებდნენ, ერთს წამსაც ვეღარ გავუძლებთ იაკობინელების სამინისტროსაო, ნიადაგ შერიგებაზე ყბედობდნენ და ოცნებობდნენ, რომ დეპუტატთა პალატა ცხვრის ბაკად გადაექციათ; ამ ბაკში ყველანი, მარჯვენა პარტიასთან დაახლოვებული ცენტრი, ლიბერალები, თუ დამოუკიდებელი რადიკალები ერთმანეთს უნდა დაჰმეგობრებოდნენ და მოჰხვევოდნენ. მაგრამ ამ მეცადინეობიდან არა გამოვიდა-რა. ერთის მხრივ სამინისტრო ისევ ფეხზე დგას და მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი, თავისი მოვალეობა სავსებით შეასრულოს, მეორეს მხრით მარცხენა პარტიის ოთხი ჯგუფი ისევ თანხმობით მოქმედებს და საერთო საქმეს ემსახურება. ცხადია, რომ ეს ამბავი რეაქციასა და მინისტრის პორტფელის მეძიებელთ სასოწარკვეთილებაში აგდებთ. მაგრამ რესპუბლიკელები სულ სხვა თვალით უყურებენ საქმეს და ყოველნაირად ამტკიცებენ, რომ რესპუბლიკელები სულით და გულით თანაუგრძნობენ მთავრობას. ამის დასამტკიცებლად ორატორმა სენატორთა, დეპუტატთა და ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები გაიხსენა.

ამის შემდეგ ორატორმა დაწვრილებით დაარღვია ის ბრალდებანი, ვითომ სამინისტრო თავნებად იქცეოდეს და კანონს კონგრეგაციების შესახებ სწორედ არ ასრულებდეს. კომბმა კონგრეგაციების სკოლების დახურვის დროს ბრეტანში მომხდარი ამბები გაიხსენა და სთქვა, რომ მაშინ კლერიკალები სარწმუნოებრივ ომს ემუქრებოდნენ მთავრობას და სამინისტროს წევრებს მრავალი ცილი დასწამეს, მაგრამ რესპუბლიკამ ყოველი განსაცდელი თავიდან აიშორა, რადგან რესპუბლიკის მოყვარეთ ყველამ მედგარი და უანგარო დახმარება გაუწიეს. მარცხენა პარტიის ყველა ჯგუფმა თავიანთ საკუთარ მოთხოვნილებაზე დროებით ხელი აიღეს და საერთო მტერს შეებრძოლნენ. მხოლოდ ამ ჯგუფთა კავშირის წყალობით შეიძლო სამინისტრომ თავის პირველ საქმის შესრულება. ორატორმა განაგრძო:

აკი მეც მხოლოდ იმ პირობით ვიკისრე პირველ მინისტრობა, რომ ამ ოთხ ჯგუფს ერთმანეთთან მტკიცე კავშირი ჰქონოდათ. ბევრჯელ მითქვამს, რომ იმ დღეს, რა დღესაც ამ კავშირის რომელიმე ჯგუფი რაიმე მიზეზით კავშირიდან გავა, მეც თავს გავანებებ სახელმწიფო გამგეობას. მაგრამ მოვალე ვარ ამას დავუმატო, რომ არაფერი უფლება არა მაქვს ეს კავშირი რესპუბლიკელთა უმეტესობასთან მე თვითონ დავარღვიო. ვაცხადებ ამას, რომ ბოლო მოვუღო ოპოზიციის პრესსის ჭორებს, ვითომ მინისტრობას თავს ვანებებდე, ვითომ იმედი დამკარგოდეს, ან ვითომ დაცემისა მეშინოდეს. ამის შემდეგ პირველმა მინისტრმა ახსნა, თუ კიდევ რა უნდა გაკეთდეს, რომ კანონი კონგრეგაციების შესახებ სავსებით ასრულდეს, და სასტიკად გაჰკიცხა უმაღლესს სამღვდელოების ქცევა; ამ სამღვდელოებამ პირი მისცა კონგრეგაციებს და იმათსავით სამოქალაქო მთავრობის ბატონობას წინააღუდგა. მთავრობას ეხლა ხელთ არა აქვს ისეთი შესაფერისი იარაღი, რომ ეპისკოპოსების ალაგმვა შეეძლოს. თუ ეპისკოპოსები ამას იქითაც კონკორდატის მუხლებს დაარღვევენ და საერო მთავრობის მოთხოვნილებას არ აასრულებენ, პარლამენტის უმეტესობა იძულებული იქმნება ეკლესიისა და სახელმწიფოს ეხლანდელი ურთიერთობა შესცვალოს. ამ საქმის შესრულებისათვის აუცილებლად საჭიროა ყველა ოთხ რესპუბლიკელ ჯგუფის კავშირი, მაგრამ ეს კავშირი მარტო ამ საქმისათვის კი არაა საჭირო; უამკავშიროდ რესპუბლიკელების დანარჩენი მუხლებიც ვერ შესრულდება. ეს კავშირი საჭიროა, რომ სახელმწიფო საშუალო სწავლა მოვაწყოთ, შემოსავლის დაკვალად გადასახადი დავაწესოთ, მუშების დაზღვევა შემოვიღოთ, მოხუცებულ და დაშავებულ მუშებს პენსიები დავუწესოთ და სამხედრო სამსახურის ვადა ორ-წლამდე შევამციროთ. დასასრულ კომბმა სთქვა:"

„მარსელიდან დამშვიდებული წავალ: დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკელები გამარჯვებულნი გამოვლენ. მარცხენა პარტიის ჯგუფთა მაგარ კავშირისაგან ყველგან დამარცხებული რეაქცია ვერ ეღირსება იმ ცისკარს, რომელსაც მოუთმენლად ელის. ყველა მიმართულების რესპუბლიკელნი წინანდებურად ეცდებიან, ეს კავშირი გაამაგრონ და ერთმანეთის თანხმობით იმოქმედონ, რადგან უამისოდ გამარჯვება შეუძლებელია".

კომბს ხალხმა რამდენჯერმე გააწყვეტინა სიტყვა და ხანგრძლივი აღტაცებული ოვაცია გაუმართა.

ინგლისი. დეპუტატთა პალატაში მუშებს ეხლა 13 დეპუტატი ჰყავთ. ამ დეპუტატებმა ყველამ ერთად ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტის თაობაზე მოწოდებით მიჰმართეს კანადისა, ავსტრალიისა და ახალ ზელანდიის მუშებს. მუშების დეპუტატები სწერენ:

„ჩვენ არ ვეთანხმებით ჩემბერლენის წინადადებას. ლამაზ სიტყვებსა და მუშების გულის მოსაგებად ჩამატებულ წინადადებებათ რომ თავი დავანებოთ, გამოდის, რომ ჩემბერლენი ამნაირ წინადადებას იძლევა: თქვენისავე სარგებლობის გულისათვის თქვენ საჭმელ-სასმელს ბაჟი უნდა დაადვათო. ჩვენ ძველ ქვეყანაში ვცხოვრობთ და კარგად ვიცით, რომ საჭმელსა და სანოვაგეზე დადებული ბაჟი ისეთ გაჭირვებაში აგდებს ხალხსა, ნამეტნავად ღარიბ ხალხს, რომ თქვენს ქვეყანაში, სადაც მრავალი ბუნებრივი სიმდიდრეა და ხალხიც ცოტა ცხოვრობს, არც კი შეგიძლიანთ ეს გაჭირვება წარმოიდგინოთ. ეს გაჭირვება ბევრ თქვენ მამას უნახავს და იქნება დღესაც ახსოვდეს. ინგლისის ხალხს არა ჰყოფნის ჩვენებური პური და სანოვაგე. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ინგლისის ხალხი უცხოეთის ქვეყნებიდან მოტანილ პურითა და სანოვაგით იკვებებოდა. თქვენში კი პური და სანოვაგე ჭარბადა გაქვთ და გრჩებათ კიდეც. რაც თქვენ თითონ მოგეჭარბებათ, გარედ გაგაქვთ; ჩვენ-კი $2/3$ წილი იმ პურისა და სანოვაგისა, რაც ინგლისს სჭირდება, გარედან შემოგვაქვს. ამ უბრალო და ადვილად გასაგებ მიზეზისა გამო, თავისუფალ ვაჭრობის მოსპობასა და სატამოჟნო პოლიტიკის შეცვლას ჩვენთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექმნება, სანამ თქვენთვის. პურსა და სანოვაგეს რომ ბაჟი დაედოს, ჩვენმა ხალხმა ყველაფერი უნდა მოიკლოს და ნახევარზე მშიერმა იცხოვროს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ ან ვერ გაიგეთ, თუ რა გაჭირვებაში ჩააგდებს ინგლისის ხალხს პურის ბაჟის დაწესება, ან არა და ჩემბერლენი სტყუის, როცა ამბობს, ვითომ თქვენ ამ ბაჟების დაწესებას თხოულობდეთ. არა გვგონია, რომ ბაჟების დაწესება მოგეთხოვოთ, ბაჟების დაწესება ჩვენის ხალხის ჩვეულებას არ შეჰფერის. ჩვენი ხალხი ყველგან თანასწორ თავისუფლებისა და თანასწორ სამართლიანობის პრინციპებს აღიარებს; ჩვენი ურთიერთობაც თქვენთან ამ პრინციპზეა დამყარებული. ამ პრინციპების წყალობითაა, რომ ჩვენ, მონათესავე ერები, ნება-ყოფლობით ერთის დიდებულის სახელმწიფოს წევრები გავხდით. ბაჟების დაწესება, როგორც დიდად უსამართლო საქმე,—ვერ განამტკიცებს ჩვენსა და თქვენს შუა ურთიერთობას, პირიქით, მტკიცედა ვართ დარწმუნებულნი, რომ ბაჟების დაწესება თქვენს კეთილ-დღეობასაც არას შემატებს. ამიტომ ბეჯითად გთხოვთ, ჩემბერლენის მავნე წინადადება უარ-ჰყოთ".

ავსტრო-უნგრეთი. ჰუნგრეთის სეიმი ძლიერ გულგრილად გამოეშვიდობა კუენ-ჰედერვარის სამინისტროს. როცა ჰედერვარიმ გამოაცხადა, სამინისტრო სამსახურს თავს ანებებსო, თვით ჰედერვარის მოხრე პარტიასაც კი ხმა არ ამოუღია; ოპოზიციამ კი ხმა მაღლა, „ელიენ"-ის (გაუმარჯოს) ყვირილით გამოსთქვა თავისი სიხარული.

◆ ჰუნგრეთში კუენ-ჰედერვარისთანა ხანმოკლე სამინისტრო ჯერ არა ყოფილა. ამ სამინისტრომ მხოლოდ თვე-ნახევარი გასძლო, ზედა პალატას ვერ წარუდგა და მხოლოდ ერთი საქმის გარიგება მოასწრო, გრაფ საფარი გადააყენა სამსახურიდან.

მაკედონია. მოკლულ კონსულ როსტკოვსკის თაობაზე გერმანული გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგ"-ი სწერს:

ეს მეტად დიდი ამბავია, მაგრამ სანამ დაწვრილებით უტყუარ ცნობებს არ მივიღებთ, მანამ გადაწყვეტით რისამე თქმა არ შეგვიძლიან. ოსმალელ დარაჯს სამხედრო სალამი არ მიუცია რუსეთის კონსულისათვის. რამდენადაც ვიცით, დარაჯად მდგარი ჯარისკაცი არსად არაა მოვალე, რომ კონსულებს სამხედრო სალამი მისცეს. ასე იყო აქამდე ოსმალეთშიაც, მაგრამ ამას წინად ავსტრიამ და რუსეთმა მოითხოვეს, დარაჯებმა კონსულებს სამხედრო სალამი აძლიონო. ოსმალეთის მთავრობაც დასთანხმდა ამ სახელმწიფოებს და შესაფერისი განკარგულებაც მოახდინა. მაგრამ მონასტირის ვალიმ ეს განკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულება როდი შეატყობინა თავის ხელ-ქვეშეით ჯარებს. ამაზე ავსტრიამ და რუსეთმა პროტესტი გამოაცხადეს. ჯერ არ ვიცით, მონასტირის ვალიმ შემდეგში მაინც აცნობა ეს განკარგულება ჯარებს, თუ არა.“

გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთი ამ შემთხვევაშიაც მოწყალედ მოიქცევა და კონსულის მკვლელის სიკვდილით დასჯას არ მოითხოვსო. ეს იმედი, როგორც ვიცით, არ გამართლდა, რუსეთის მოთხოვნილების თანახმად ორი კაცი დაისაჯა სიკვდილით. ბოლოს გაზეთი ამბობს: თუ რუსეთი მაკედონიის საქმეზე ოსმალეთს ვერ მოურიგდა, უეჭველია, მაშინ ევროპის სახელმწიფოებს მიჰმართავს და მოელაპარაკება, თუ როგორ მოექცეს ოსმალეთსაო.

◆ ვენის ოფიციოზური გაზეთი „ფრემდენბლატ“-ტი და გერმანული გაზ. „ნორდდაუჩე ალგ. ცაიტ“-ი იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ კონსულის მოკვლის ნამდვილი მიზეზი ბოლგართა რაზმები არიანო, ამათ მეტის-მეტად გაამწვავეს და გააცეცხლეს მუსულმანები. რუსის კონსულის მკვლელი ჯარის-კაცი ღირსეულად იქნება დასჯილი, მაგრამ ნამდვილი დამნაშავე ეს ჯარის კაცი კი არა, ბოლგართ მეთაურები სარაფოვი, გრუევი და სხვები არიანო.

◆ ინგლისური ლიბერალური გაზეთი „დაილი ნიუს“-ი სწერს: კიდევ ერთი რუსის კონსული მოჰკლეს; ამას იქით რუსეთი, რასაკვირველია, ოსმალეთს სხვანაირად მოექცევა და აღარას უშველის. დიდ გაჭირვებაშია ოსმალეთი. ლამის ერთი პროვინცია კიდევ მოაკლდეს. ოსმალეთსაც ესმის ეს გაჭირვება და ამიტომ მაკედონიაში ხელად ჯარი გაჰგზავნა. მაკედონიის აჯანყება ისევ დაიწყო, ოსმალეთის უკანონო ქცევა ვეღარ აიტანეს მაკედონელებმა და აჯანყდნენ. ყველა თავისუფლების მოყვარე ინგლისელი მოვალეა გამარჯვება უსურვოს მაკედონელებს.

◆ „ფრანკფურტ. ცაიტუნგ“-ს სწერენ:

„ორიოდე დღის წინად ა. ა. როსტკოვსკიმ და ავსტრიის კონსულმა კრალმა მოსთხოვეს მონასტირის ვალის ალი-რიზა-ფაშას დარაჯებმა სამხედრო სალამი გვაძლიონო. ვალიმ უარი უთხრათ ამაზე; კონსულებმა სტამბოლში იჩივლეს და ხონთქარის ბძანებით დიდმა ვეზირმა განკარგულება მოახდინა, რომ დარაჯებმა სამხედრო სალამი აძლიონ როსტკოვსკისა და კრალსაო. 26 ივლისს როსტკოვსკიმ დაინახა, რომ დარაჯმა სალამი არ მისცა, მივიდა და ჰკითხა: „რატომ თოფს მაღლა არ ასწევო?“ დარაჯმა არაფერი პასუხი არ მისცა, ისევ წინ და უკან მიდი-მოდიოდა. კონსულმა ჰკითხა დარაჯს, იცი, ვინ გელაპარაკებაო? მაგრამ დარაჯმა კიდევ ხმა არ გასცა. როსტკოვსკიმ აუხსნა რუსის კონსული ვარო და მოსთხოვა, სალამი მომეციო. სალამის მაგივრად დარაჯმა თოფი დაუმიზნა და ორჯელ ესროლა როსტკოვსკის“.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამინისტრომ საზრუნველოდ იცნო **შავის ზღვის პირად რკინის გზის** გაყვანა. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, სამინისტროს გადაუწყვეტია, დაწვრილებით განიხილოს ის პროექტი, რომელიც შეიმუშავეს ინჟ. სტატკოვსკიმ და სიპაილომ. ამ პროექტით, რკინის გზამ კავკასიონის მთა უნდა გადალახოს.

◆ ამას წინად ვწერდით, რომ ხარაგაულისა და იმის მახლობლად მდებარე სოფლებში (შორაპნის მაზრა) ფეხი მოიკიდა **ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვამა**. ამ სოფლის მცხოვრებთ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსაც სთხოვეს, სად შეიძლება საუკეთესო მატყლის შოვნაო. გუშინ-წინ საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა იოსელიანმა გაუგზავნა ხარაგაულელებს სახელმძღვანელოდ ერთი წიგნი, სადაც აღწერაა, როგორ ამზადებენ ფარდაგებსა და ხალიჩებს ყუბანის მაზრის მცხოვრებნი. შეატყობინა აგრეთვე, რომ საუკეთესო საქსოვი მატყლი იშოვნება მთიულეთში, სადაც ფუთი გაურეცხელი მატყლისა 7—8 მანეთამდე ფასობს თურმე.

◆ კვირას, 3 აგვისტოს, სოფელ ზემო ავჭალაში **მკვლელობა მოხდა**. მოჰკლეს ადგილობრივი მემამულე თავადი გიორგი ტუსიშვილი. ტუსიშვილი ამ რამდენისამე წლის წინად კაცის მკვლელობისთვის გაგზავნილი იყო საცხოვრებლად ასტრახანის გუბერნიაში. სულ ერთი თვეა, რაც დაბრუნდა იქიდან თავის ძმებთან მამულის თაობაზე ანგარიშის გასასწორებლად. რძალმა ამ დღეებში შეისყიდა იმისგან მიწა და ფულიც ჩააბარა. კვირა დღეს თავ. ტუსიშვილს თითქმის მთელი დღე დუქნებში უქეიფნია. ნაშუადღევს შინისაკენ წასულა. მოკლულის გვამი ხევში ჰნახეს, ზემო და ქვემო ავჭალის შუა. როგორც ეტყობა, ვიღაცას ჯერ გადაუგდია თავ. ტუსიშვილი ხევში და მერე ყელი გამოუჭრია.

◆ სიღნაღის მაზრაში, თუქურმიშას მახლობლად, ჰფიქრობდნენ **რუსთა სოფლის გაშენებას**. ადგილიც აარჩიეს. როგორც ტფილისის სამკურნალო გამგეობამ გამოიკვლია, ამ ადგილის წყალი უვარგისი ყოფილა, ამიტომ გადასწყვიტეს, სხვა უკეთესი ადგილი მოსძებნონ კახეთში და რუსები იქ დაასახლონ.

◆ რკინის გზის იმ მოსამსახურეებს, რომელნიც **მუშაობის შეწყვეტის დროს მუშაობდნენ**, როგორც გავიგეთ, საჩუქრად დაურიგებენ ფულს. თვითეულს თითო თვის ჯამაგირის ოდენა მიეცემა.

◆ ტფილისის სახელოსნო გამგეობა უკვე შეუდგა ტფილისის **ხელოსანთა ამქრების** კასების რევიზიას. სახელოსნო გამგეობამ ამისათვის ამოარჩია განსაკუთრებული სარევიზიო კომისია. კომისიის წევრებად არიან მიკირტუმოვი, კობაძე და შეიდობაზე.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით, მდივანმა გაუგზავნა ვერმიშევს, სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელს იმ საბჭოში, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს საშუალებანი **მეღვინეობა-მევენახეობის გასაუმჯობესებლად**, 1889 წელს კახეთის მევენახეთა კრების შრომანი და დადგენილებანი და აგრეთვე მოხსენება აგრონომის ა. ი. სააკოვისა კავკასიაში ეროზის შემოღების შესახებ. ვერმიშევს გაეგზავნა აგრეთვე სხვა მასალაც.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ დაწესდა ახალი თანამდებობანი მომრიგებელ შუამავლებისა. სხვათა შორის, როგორც „ტიფ. ლისტ.“ გადმოგვცემს, **მომრიგებელ შუამავლებად ჰნიშნავენ** ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეს თავ. სიდომონ-ერისთავს, საგანგებო საქმეთა მოხელეს ტფილისის გუბერნატორთან თავ. მუხრანბატონს, თავ. ჩოლოყაშვილს და სხვებს.

◆ ტფილისის ვაჟთა მეორე **გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები** მოსამზადებელ განყოფილებასა და პირველ კლასში მოხდება 21, 22 და 23 აგვისტოს. თხოვნებს 20 აგვისტომდე მიიღებენ.

◆ ტფილისის ქალთა პესამე **გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები მოხდება** 25—28 აგვისტოს. უფროს კლასებში (მეორე კლასიდან დაწყებული) თავისუფალი ვაკანსია არ არის.

◆ ტფილისის ქალაქის **გამგეობის წევრს შესტაკოვს**, როგორც „ნოვ. ობზო.“-ს გაუგია, ადმინისტრაციაში აძლევენ თურმე თანამდებობას.

◆ **როგორც ტომსკიდან გვწერენ,** იქაურ უნივერსიტეტის იურიდიულს ნაწილზე წელს სწავლა დაუმთავრებია ერთს ქართველს ნიკ. რაზმაძეს. ამ ჟამად ტომსკში 8 ქართველი სტუდენტია: 3 ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში და 5 იც უნივერსიტეტში (2 კაცი საექიმოზე და 3 იურიდიულზე).

◆ გუშინ, 5 აგვისტოს, ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გადასდოს 1,500 მან. სასწავლებლის შენობის შესაკეთებლად. შენობა სამოსწავლო წლის დაწყებამდე უნდა შეკეთდეს.

◆ კავკასიის სამთო გამგეობის **გეოლოგი სიმონოვიჩი**, როგორც გავიგეთ, სამსახურს თავს ანებებს.

◆ **მოსკოვის ქალაქის საბჭოს** კანცელარიამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს მოხსენება ქალაქის ხორცის დუქნებში ვაჭრობის მოწყობის შესახებ და აგრეთვე დადგენილება ქალაქის საბჭოსი ამავე საგნის შესახებ.

◆ ამას წინად ტფილისის საუქციონო ზალის უფროსმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას შემდეგი ამბავი. ბ-ნ ივანოვის გამსესხებელ კასის კამერაში საჯარო ვაჭრობის დროს გასასყიდად დანიშნული იყო ოქროს ნივთები: ერთი მედალიონი, 16 ოქროს ღილი და მარგალიტი ძეწკვად ასხმული, სულ 583 მანეთად დაფასებული. ვაჭრობის მსურველი ბევრი გამოცხადდა, მაგრამ რადგან არც ერთს ამდენი არა ჰქონდა, ითხოვეს ნივთები ცალ-ცალკე გაეყიდათ ვაჭრობაში და ამასთანავე დარღვეულიყო ნივთებისა ნაკვრები დაეშორათ ვაჭრობის დროს. კასის პატრონი ივანოვი ამ წინადადებაზე არ დასთანხმდა, რის გამოც ნივთები გაუყიდველი დარჩა. რამდენისამე დღის შემდეგ ივანოვმა ნივთები მიჰყიდა კერძოდ კონსტანტინე კობახიძეს 550 მანეთად, ე. ი. 33 მან. ნაკლებ, ვიდრე ნივთები ღირდა, ასე რომ ამით ზარალი მიაყენა დამგირავებელს და ვაჭრებსაც. ეს მოხსენება ქალაქის გამგეობამ გადასცა გამსესხებელ კასების სარევიზიო კომისიას. კომისიამ განიხილა და გუშინ თავისი მოსაზრებანი წარუდგინა ქალაქის გამგეობას. კომისია თავის დადგენილებაში ამბობს, რომ ერთად დაგირავებული რამდენიმე ნივთი საჯარო ვაჭრობით უთუოდ შეიძლებოდა ცალ-ცალკე გაეყიდათ. თუ ვინმეთაგანს ვაჭარი არავინ აღმოჩნდა და არ გაიყიდა, ნივთები გამსესხებელს რჩება და იმას შეუძლიან, როგორც უნდა, ისე მოიხმაროსო.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა რუსეთის საბადოსნო საზოგადოებას გამოუგზავნოს თავისი გამოცემანი, მაგ. ატლასი სხვა-და-სხვა ხეხილეულობისა და სხვ. სამეურნეო საზოგადოებამ სთხოვა საბადოსნო საზოგადოებას გამოუგზავნოს აგრეთვე ყოველ-თვიური ჟურნალი.

◆ როგორც სოფელ წყნეთიდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ, პირველ აგვისტოს მეხი დასცემია ამ სოფლის მცხოვრების გიორგი ელიზბარაშვილის ცოლს ნინოს. ქალი მეორე დღეს გარდაცვლილა.

◆ ტფილისის მეპურეთა ამქარმა საზოგადოდ მიჰმართა ხელოსანთა მოურავს ამქრის მამასახლისის სხირტლაძეზე. მეპურენი ითხოვენ, სხირტლაძემ ანგარიში წარმოგვიდგინოსო.

◆ 4 აგვისტოს მცხეთაში დაასაფლავეს საქართველოს სამხედრო გზის პირველ დისტანციის უფროსის თანაშ. ალმას. ტეხნიკოსი ევსტრატოვი. მცხეთაში წინა დღეს ჩამოსულიყო და მეორე დღეს მკვდარი ენახათ.

◆ სადგურ ალტაგლაში უპოვნიათ ვიღაც ბავშვის გვამი. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ეს ყოფილა ევლახის ბუფეტის პატრონის ბიჭი.

◆ ამ ორი-სამი თვის წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს უთხოვნია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, განკარგულება მოახდინეთ სამეურნეო საზოგადოების სადგომში გამოყვანილ წყლის მილის საზომის შესამოწმებლად,

ფელეტონი

თელავური რამე-რუმე

თელავის კუდა ბალი.—თავგამოდებული მოსეირნენი.—დანგრეული ქუჩები.—ინტელიგენტების „პიკნიკი“.—ქალაქის მამების ვითომდა ძილი.—ტყუილია!—მოსამძიმრეთაგან პირისუფალთან ლოტოს თამაში.—იმხიარულე, კახთა დედა-ქალაქო!—სხვადა-სხვა გვარი გასართობი.—გრძელ-კაბოსან გრძელ-წვეროსნების ბანქობანა.—გადაგვარება მკვიდრთა და მოაგარაკეთა.

თელაველების გასართობი, მკვიდრთა და მოაგარაკეთა სათაყვანო და სალოლიავებელი, როგორც მოგეხსენებათ, აქაური კუდა ბალია, მერე როგორი ბალი?! საქალებო! იმის ღირსეულ სახელოვნებას ამართლებს მოსეირნეთა სიმრავლე. დღე-მუდამ, ყოველ საღამოთი, დაახლოვებით ექვსი საათიდან დაწყებული ღამის თერთმეტს საათამდე წრეგამმით მოდის და მოდის მოსეირნეთა გროვა. გაფაციცებით ათვალიერებენ, ხომ არავინ დაიჭირა მათ მიერ შეყვარებულ-შეტკბობილი მტვრიანი ხეივნები, დედაბერივით დაქარიანებული და დაგრეხილი ბილიკები, თვალწარმტაცად დაჩრდილული თავ-მოპარსულ ხეებითა. გულის ფანცქალით მიეშურებიან, რომ ადრე დაისაკუთრონ სათაყვანო სკამები, რომელთაგან ზოგი სადღაც ბნელს კუნჭულში მიმალულა. ოო, მამზიდველი, ადამანტისებური ძალა აქვს ამ მიყრუებულს კამბილიკებს... შეყვარებულთათვის. ბევრის, ძალიან ბევრის რომანის უტყვი მოწმენი ყოფილან ეს დაობლებული, მეთვალყურისაგან ზურგ-მოგლეჯილი სკამები და დახორავიჭებული ბილიკები!

წლეულ ბევრი გვყავს საავარაკოდ მოსული კავალერი და დამა: რუსეთიდან მოსულნი და სარუსეთოთ გამზადებულნი სტუდენტები, მოზარდი მოსწავლე ახალ-გაზდობა და მოზარდი უსწავლელი, ტფილისიდან გადმოხვეწილნი მამონას თაყვანის მცემლები და ჩინოსნები, ნაზი კნიაჟნები, „გიმნაზისტკები“, ინსტიტუტკები“ და „ზავედენკები“, ფაფუკ-ღაბაბიანი ვაჭრის ცოლები და ქალები და ძველ-მთვარესავით მილეული, ზრდილობიანად რომ ვსთქვა, უსმელ-უჭმელობისაგან დამჭლევებული დედები და ქალიშვილები,—ერთის სიტყვით, ბევრია სათაყვანოსატრფიალო და მათაყვანებელ-მოტრფიალე. ბევრია გასათხოვარი, მოტრფიალე ყმაწვილი, განაზებული ქვრივი, რომელნიც იმედ-დაკარგულად და მწუხარედ უცქერიან მოვალს და იშვიათს სტუმარს მთვარეს. არიან ქვრივი კაცები, რომელნიც სცდილობენ ცოლის დაკარგვით დაობლებული გული გადააყოლონ მშვენიერთა ცქერას; არიან ქმარ-და-ცოლ-შვილიანები, რომელთაც, რასაკვირველია, ესიამოვნებათ მათს გარშემო სიყვარულზე კეკე-მალულობის თამაში; არიან ფაფუკიანები და უფაფუკო, დაბრძნილნი მანდილოსნები და ღაბაბ-ღიპიან და უღაბაბ-უღიპო ქუდოსნები, ყველა ერთად, ჰშენა და ხვნეშა შეწყობილად ჰყნოსვენ გატაცებით მტვრით შენელებულს ჰაერს, განცხრომით აცმაცუნებენ შემტყვერიანებულს ტუჩებს და აკაწუნებენ კიჭებით მშვენიერს მტვერს...

იფ! ნეტარებაა, მა რა ჯანაბაა?! მხიარულობენ მოსეირნენი და მხიარულობს სტუმრების სიმხიარულით კუდა ბაღი: იწვის სიყვარულის ეშხში განმარტოვებულ ბილიკებსა და სკამებზე მყოფთა თანა, საყვედურს ისმენს დაგვიანებულ სატრფიალოსთან ერთად. ხშირად ანგარიშის დავიდარაბაშიაც გააბმენ ხოლმე: ეს ამდენი ავწაპნეო (ახალი ტერმინია, ხშირად სხვა-ნაირადაც ხმარობენ: ავუსვიო), ამდენი მოვიგე, ხუთს თუმანში გავკოტრდი, ენკენისთვეში მომდის ვექსილების ვადაო და ბევრი ამგვარი. მოსეირნეთ ფეხსაცმელი თითო კვირას არ უძლებთ. აქაური ფეხსაცმლის მკერავ-გამყიდველნი „ბუნტს“ უპირებენ მოაგარაკეთ. წელში გავწყდით, ჭნემსის კირკიტმა თვალები დაგვთხარა, რეტი დაგვასხა. გადასახლებას, გადაკარგვას აპირობენ, მხოლოდ, სად არ იციან. უნდათ მთავრობას მიჰმართონ, ეგების დასასახლებლად ადგილი უშოვოს. მოდი და ნუ შეგებრალება საცოდავები! ყველა თავისას ჩივოდა, მენახირე ბუზანკალისა!

მხიარულებენ თელაველნი: დაბალის წრის ხალხი არღანზე, მაღალის წრისანი—თარსა, დუდუკსა და სასულე დასაკრავებზე.

ინტელიგენციამ „პიკნიკი“ გამართა (მე, როგორც უბირი კაცი, ფსონს და არიფანას ვეძახი ამგვარ ქეიფს). დიახ, „პიკნიკს“ (მოდური ტერმინია). საღამო ხანზე შეზარხოშებულებმა დუდუკის კვრით ჩამოუარეს თელავის ქუჩებს. გონება გახსნილნი, გუნება გასპეტაკებულნი და გულგახსნილნი ჩერდებოდნენ ალაგ-ალაგ, აჰყვიტინებდნენ ზურნას და უვლიდნენ ლეკურ-ბუქნას. მხოლოდ ღვინო-დამეტებულთ ფეხები ხან და ხან ჰლალატობდათ და მაყურებელთაგან ხელწახმარებას ჰსაჭიროებდნენ ხოლმე. ერთს მოპიკნიკეს მეტის აღფრთოვანებისაგან (ღვინოს კი არ დააბრალოთ—არა!) თავი ვეღარ შეემაგრებინა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა, დაყრდნობოდა თანამოქეიფეთა მხრებს და ხან ტკბილად ღიღინებდა და ხან მაღალ შიქასტას შემოსძახებდა. ერთი ხელობა დაულურიც კი მოიგუნება, მაგრამ... ჰმ... უცნაურად გაათავა: პატივცემულს ცხვირს მიწა ალოკა.

სახიამოვნო, სანატრი საყურებელი, უცხო რამ იყო, როდესაც მამულის სიყვარულით გატაცებულნი „მოპიკნიკენი“ გრძნობით შეჰბღავლიდნენ ხოლმე: „აღზდეგ, თამარ დედოფალო, შენთვის სტირის საქართველო!“ ცრემლმა კინაღამ დამარჩო. მოვიშალე მთლად, იმ ღამეს ვახშამი ვეღარა ვჭამე. ან კიდევ სიყვარულის ეშხისაგან აღფრთოვანებულნი შეჰღაღადებდნენ: „სიყვარული ძნელია, ვეღარ მომითმენია; სიყვარულის მომგონი ხანჯლით დასაჭრელია!“ ან განწირულებით დააკვნესებდნენ ხმას: „ზესტაფონო, მშვიდობით, ლამაზებო მშვიდობით, შორს მივდივარ, მშვიდობით, გულის ვარდო, მშვიდობით! შორი გზა დამილოცეთ ოხოხო... ვაიი... ვეღააარ განახავთ... მშვიდობიიით!“ .-

რადგან საზომი ცუდად არის გაკეთებული და ფულს იმაზე მეტს გვახდევინებენ, ვიდრე წყალი იხარჯება. ქალაქის გამგეობას დღევანდლამდე სამეურნეო საზოგადოების მოთხოვნილება არ შეუსრულებია. ამ დღეებში გამგეობას ანგარიში გაუგზავნია საზოგადოებისათვის, საიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებას დაუხარჯავს 1 აპრილიდან 1 ივლისამდე 2641 ვედრა წყალი, მაშინ როცა ზამთარში 1 იანვრიდან 1 აპრილამდე დახარჯულა 6379 ვედრო. რადგანაც შეუძლებელია ზამთარში მეტი წყალი დაიხარჯოს, ვიდრე ზაფხულში, მით უმეტეს რომ წყალი მხოლოდ ორის მსახურის საჭიროებაზე იხარჯება, გუშინ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ხელმეორედ სთხოვა ქალაქის გამგეობას შეასწორებინოს წყლის საზომი.

რუსეთის ქრონიკა

◆ 27 ივლისს კიევში დაიწყო ქალაქის ცხენის რკინის გზაზე მოძრაობა.

◆ მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის გამგეობას გამოუცხადებია, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, პასუხს არ ვაგებთ, თუ გადასატანი საქონელი დროზე არ გაიგზავნაო.

◆ უფის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, საერობო გამგეობათ შეატყობინონ ხოლმე, კერძო პირებს რომ რაიმე საშინაო სამუშაოს მისცემენ.

◆ სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველობის წარმომადგენელთა მე-28 კრება 25 ოქტომბერს შესდგება.

◆ ჯავშნიან გემის „ჩესმას“ უფროსი ოფიცერი კაპიტანი ფრიდოვსკი, რომელსაც სამის თვით დაპატიმრება მიუსაჯა სევასტოპოლის სამხედრო სასამართლომ, უმაღლესის ბრძანებით გადაყენებულ იქნა სამსახურიდან.

◆ 20 ივლისს კისლოვოდსკში შეტაკება მომხდარა ჯარის კაცებსა და ხალხს შორის. ადგილობრივი ვაჭრის კოტოვის ნოქარს გაულანძღავს ერთი ჯარის კაცი. ამ უკანასკნელს მისი ამხანაგები გამოესარჩლებიან, ნოქარს კი—მისი მომხრენი. მოჩხუბართ მრავალი ხალხი შემოესევია და გარეულა ჩხუბში. ბოლოს პოლიციის საშუალებით გაუფანტავთ ხალხი. ორივე მხრით მძიმედ დაჭრილია 4 კაცი და მსუბუქად—20.

◆ პეტერბურგში საისტორიო-საფილოლოგიო ინსტიტუტის რეფორმა მოუხდენიათ. სტუდენტები უფრო გარკვევით უნდა გაჰყონ სპეციალურ საგნების მიხედვით. წინანდელ ორი განყოფილების მაგიერ ახლა სამი იქნება: კლასიკური, სიტყვიერებისა და ისტორიის. სიტყვიერების განყოფილებაში დაარსდება ახალი კათედრა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა. გაფართოვებულ იქნება რუსულ სიტყვიერების ისტორიისა და ენათა მეცნიერების კურსი. ისტორიულ მეცნიერებათა შესასწავლად მეტი დრო იქნება დანიშნული. ისტორიულ განყოფილებაში ისტორიის გარდა ასწავლიან წინანდელივით—პოლიტიკურ, ფიზიკურ და მათემატიკურ გეოგრაფიას. ყველა განყოფილებათა სტუდენტებისათვის სავალდებულო იქნება ფილოსოფიის, ფსიხოლოგიის და პედაგოგიის ისტორიის შესწავლა. განყოფილებანი მესამე და მეოთხე კურსზე იქნება, პირველი და მეორე კურსი—საზოგადო განათლებისაა.

◆ ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, მის უწყებაში მყოფ მოსამსახურეთ აეკრძალათ კერძო სამსახურში შესვლა. ეს განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ აქციზის ზოგიერთი მოხელენი ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა და სავაჭრო დაწესებულებათა აგენტებად ითვლებიან.

◆ უმაღლესად განთავისუფლებულ იქნა რუსეთის ქვეშევრდომობისაგან ცნობილი მხატვრის ნ. გეს შვილი ნ. ნ. გე შვილებითურთ.

◆ რკინის გზათა ექიმების სათათბირო კრებამ უნდა განიხილოს პეტერბურგში საკითხი რკინის გზის მოსამსახურეთა მოქანცვის შესახებ.

◆ რუსეთის დიდ სავაჭრო დაწესებულებებში და კერძო სახლებში შემოუღიათ ტელეფონის მაგიერ ფეროფონი, რომელიც ტელეფონსა სჯობია თურმე: ხმას უფრო მკაფიოთა და გარკვევით გადასცემს; ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე, თითქო მოლაპარაკე კაცი თქვენ წინ ზის და გესაუბრებათ.

◆ ასხაბადის პოლიცმეისტერის განკარგულებით, საროსკიპო სახლების პატრონებს დაევალათ შეიტანონ ყოველ თვე ხუთ-ხუთი მანეთი მათ სახლებში მყოფ თვითეულ როსკიპ ქალის სახელობაზე, რათა შეძლება მიეცეთ ამ ფულით შემდგარ თანხის იმედით, როცა მოისურვებენ, თავი დაახწიონ საროსკიპო სახლიდან.

პრესსა

სუვორინი თავის გაზეთ „ნოვოე ვრემია“ში სწერს:

ამ ბოლო დროს ბევრი ტყუილი ამბები ვრცელდება ევროპაში რუსეთის შესახებ. ევროპიელები ჰფიქრობენ, რომ რუსეთი განსაცდელში ჩავარდა, ამტკიცებენ, რუსეთი დასუსტდა, მუშათა არეულობის ხანა დაუდგაო. კითხვა, მრეწველობის განვითარებით გამოწვეული უეცრად აღსდგა ჩვენ თვალ წინ, როგორც წინამორბედი არეულობისა.

მერე განა მართალია, რომ მუშათა გაფიცვანი არეულობას ნიშნავს? რატომ დასავლეთ ევროპაში არავის არ მიაჩნია არეულობად ამგვარი მოვლენა? იმიტომ, რომ იქ მრეწველობა თანდათან განვითარდა ხალხის განათლებასთან და კანონმდებლობასთან თანაბრად. ევროპის უმცროსმა დამ,—რუსეთმა, კი ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში იმდენი იმოქმედა, იმდენი საკითხი აღძრა, რომ გაუსწრო კანონმდებლობას. ახლა დროა საჭირო იმისათვის რომ რუსეთის კანონმდებლობა დაუახლოვდეს ცხოვრებას, საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტად კანონმდებლობა ცხოვრებას მხარში უნდა უდგეს, არ უნდა ჩამორჩეს მას, მაშინ საქმე მშვიდობიანად წარიმართება.

* * *

გერმანულ სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალში „ცეიტ-შრიფტ დერ ნაჰრუნგს უნდ გენუსმიტელ“-ში საყურადღებო წერილია მოთავსებული რუსულ თუთუნისა და საზოგადოდ თუთუნის წევის მავნებლობის შესახებ.

ყველამ იცის, რომ თუთუნში ერთგვარი საწამლავი, ნიკოტინი ურევია, რომელიც ბოლის საშუალებით შედის ადამიანის სხეულში. რაც უფრო მაგარია თუთუნი, მით უფრო მეტ ნიკოტინს შეიცავს. რუსეთის თუთუნი სამი ხარისხისაა: მაგარი, სუსტი და საშუალოზე მეტი.

მეცნიერულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მაგარი თუთუნი 2,3% ნიკოტინს შეიცავს, საშუალო—1,8%-ს და საშუალოზე მეტი—2,1%-ს. რუსეთის ხალხში ძლიერ გავრცელებული თუთუნი—მახორკაა, რომელიც ყველაზე მეტ ნიკოტინს შეიცავს და არყის შემდეგ ადამიანის უძლიერესი გამაბრუებელი მასალაა.

ნიკოტინის გარდა თუთუნში სხვა მავნე ნივთიერებანიცაა: პირიდინი (საწამლავია), სინილისა და ნახშირმბადის სიმჟავე.

თუთუნის მავნე თვისებანი ეჭვს გარეშეაო, ამბობს გამოკვლევის ავტორი გერმანელი პროფესორი პონდაგი. იმ კაცის სხეულში, რომელიც დღეში 20 პაპიროსს სწევს, შემდეგი მავნე ნივთიერება შედის:

ნიკოტინი — — 0,090 გრამ.
პირიდინი — — 0,011 —
ამმიაკი — — 0,032 —
სინ. სიმჟავე— — 0,0006
ნახშირმბადი — — 360 კუბ. სანტიმ.

ყველა ეს ნივთიერება სხეულში რომ რჩებოდეს, თუთუნი უეჭველად მოჰკლავდა ადამიანს, ახლა კი იგი თანდათან უთხრის ძირს მის ჯანმრთელობას.

* * *

მწერალი ნ. ენგელგარდტი, თავისს ვიწრო ფარგალში მომწყვდეულ პატრიოტიზმით ცნობილი, მოგზაურობს რუსეთის ჩრდილო—დასავლეთ მხარეში ებრაელთა შორის და ჰბეჭდავს რუსეთის გაზეთებში თავის ნაფიქრ-ნაგრძნობს.

ძალიან გამოიცვალა, ამბობს ენგელგარდტი, ჩრდილო დასავლეთ რუსეთის ებრაელთა ერთ დროს ცოცხალი, ფაცა-ფუციო სავსე ცხოვრება. ქუჩებში ახლა აღარ სჩანს იმდენი ხალხი, სადღაც მიმალულა; გაჭირვებამ თუ არ აიძულათ, აღარ გამოჰყოფენ ხოლმე თავს გარედ, არ გამოცხადდებიან ქრისტიან მკვიდრთა წინაშე. თვალი რომ მოჰკრათ სადმე ქუჩაში ებრაელთა ჯგუფს, რომ შეჩერდეთ და ერთი ან ორი წამი დაკვირვებით უცქიროთ, თქვენ გამოცხადებამდის ცოცხლად მოლაპარაკე ებრაელთ რაღაც შიში ეუფლებათ, როგორღაც იკრუნჩხებიან. დაბალის ხმით განაგრძობენ საუბარს და დრო გამოშვებით ალმაცერად გიცქერიან, თითქო უკვირთ, რა უნდა ჩვენგან ამ უცხო კაცსაო?

უნდა გამოვტყდე, რომ მე ძლიერ მეცოდება ეს საცოდავი გამხდარი, დამშეული ებრაელები, ის ებრაელები, რომელთაც ვეღარასფერი კანონი ვერ შეზღუდავს, რადგან თვით ცხოვრებამ სასტიკად შეზღუდა ისინი: ხმელ ლუკმა პურზე და ცარიელ ხახვზე დასვა.

ენგელგარდტს გულში ნამდვილი ადამიანური გრძნობა გაეღვიძა—დაჩაგრული ხალხის მიმართ სიბრალული. მაგრამ როგორც მსწრაფლ გაჩნდა, ისევ სწრაფლა ჩაუქრო მას გულში ეს ჰუმანური სხივი ვიწრო პატრიოტულმა გრძნობამ და შემდეგი სიტყვები ათქმევინა ენგელგარდტს: რა ვუყოთ, რითი უნდა შევეწიოთ ამ დამფრთხალ, მშიერ-მწყურვალე ბრბოს? ჩვენ ჩვენი მშიერი გლეხებიც გვეყოფიან საზრუნავადაო.

წერილი ართვინიდან

მასწავლებლის გადაყვანა.—უთაურობა.
—ძველი მონასტრები.

ამას წინად აქაურმა ქართველობამ და სომხობამ გაუმართა გამოსათხოვარი სადილი არდივანის სკოლის გამგეს ბ-ნ ინასარიძეს, რომელიც აგერ ოცი წელიწადია აქ მასწავლებლობს და ახლა ქუთაისში გადაიყვანეს. ასე თუ ისე, ოცი წელიწადი მასწავლებლისათვის დიდი და ძნელი საქმეა, ისიც აქეთ. პატივის ცემა ღირსეულია, მხოლოდ საკვირველია, საზოგადოებამ ვერ გამონახა უკეთესი საშუალება მადლობის გადახდისა, ვიდრე სადილ-ვახშმის გამართვაა.

ერთი წელიწადია გვსურს ერთი წარმოდგენა გავმართოთ და ვერ იქნა, ვერ მოვაგვარეთ საქმე. იქნებ იმიტომ, რომ არ გვესმის, რით სჯობია წარმოდგენა სხვა გასართობებს. გარს მაჰმადიანობა გვახვევია და არ ვცდილობთ მათთან დაახლოვებას, არა გვაქვს იმათთან კავშირი. მართებლობაც ნაკლებ აქცევს ყურადღებას ჩვენს მოწყვეტილ მხარეს. აქაურ მამასახლისებში არა იშვიათია მექრთამეობა. ზაფთიები მოგვიმატეს და ამოდენა სამმართველოში კი, როგორც არის არდანუჩისა და შავშეთისა, ერთი ფერშალი ვერ დაგვინიშნეს. თუმცა ენკენისთვიდან ადგმენ აფთიაქს, მაგრამ რის მაქნისია იგი უექიმოდ? ერთი ხეირიანი გზას ვერ ვღირსეთ არდანუჩ-შავშეთში. მაშასადამე ვერც ფოსტას მოვესწრებით იმ ადგილებში. რომ გსურდეთ, გაჰგზავნოთ იქ წერილი, ერთი კვირით კაცი უნდა დაიქირაოთ. უბედურება რომ გეწვიოთ აქეთ, ნუგეშს საიქიოს მიიღებთ. ბათუმიდანაც ფოსტა მხოლოდ კვირაში ერთხელ მოგვდის. რატომ არ ზრუნავს ვისიც საქმეა, რომ ფოსტა კვირაში ორჯერ მაინც მოგვდიოდეს. ეს ხომ ძალიან შეუწყობდა ხელს ამ მხარის გამოფხიზლებას.

ჩვენს მკითხველს უკვე ეცოდინება, რომ წარსულ კვირაში ბორჩხის ახლოს ფოსტას დაეცა რვა ყაჩაღი. მოჰკლეს ფოსტალიონი და ერთი ხა-

ხამუშ ღვინის პირველს მათაყვანებელს ნოესაც მოიგონებდნენ ხოლმე: „ნოემ რა ერთხელ ინება ყურძნის წვენის გემოვნება, თვითონ ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვთ მიანება!“.

ეჰ, თელაველებო. სულ ძილი, ძილი, როს გველირსება ჩვენ გაღვიძება?! გაიღვიძეთ თქვენც და აღიჭურვენით ცხოვრებისთვის საბრძოლველველ იარაღით! მაგრამ, უკაცრავად, დამავიწყდა: პიკნიკობა არსებითად ძილში ხომ შეუძლებელია! დასწყევლოს ღმერთმა, რამ გამომაყრუა? იცინე, იმხიარულე, თელავო, გაახარე შენთვის მკვდრის, დამიწებულის პატარა კახის გული!

დალახვრა ღმერთმა! ავი ენა ხომ არ მოისვენებს, აქაო და ტფილის-ქუთაისს მამა-მამინაცვლებს მუდამ ძილს უკიჟინებენო, დალოცვილი კორესპონდენტებიც თელავის საბჭოს ხმოსნებს, ქალაქის გულდამწვარს მამებს ძილს უგონებენ... ძნელი დასაჯერებელია.—ნურც ერწმუნებით ავს წერილებსა. მტკნარი სიცრუეა! მაგალითებით დაგიმტკიცებთ: გალაღებულმა ნიაღვრებმა დაღარეს, დაანგრიეს ქუჩები და აუარებელი ლოდი და ღორღი მოაგროვეს იქ, საცა საჭირო არ იყო. გაიგო და დაინახა თუ არა თელავის საბჭომ, რომ გზები გაფუჭდა, დაიქირავა მარდად ორი თათარი (ბევრია ხომ?) ქუჩების მოსაკირწლავად და მეტად მხნედ შეუდგა საქმეს. გარწმუნებთ, მეორედ მოსვლამდის უეჭველად მზად იქნება (თუ მოხდა მეორედ-მოსვლა. ზოგიერთი ურწმუნო თომები ამას უარსა ჰყოფენ), ასე რომ საფლავიდან ახლად ამოსულებს სიარული არ გაუჭირდებათ. ძილი რა საკადრისია! სულ ჰღვიძავთ და თუ ხან და ხან საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის დროს ჩაჰყვინთავთ ხოლმე მაგიდაზე, ეს გასაკვირველი არ არის. უძილობა შეუძლებელია: კაცსა ჰკლავს თურმე, როგორც მეცნიერნი და ექიმები ამტკიცებენ. ამ მცირე ხნით ჩამოყვინთებისთვის განა გასამტყუნარნი არიან? სრულიადაც არა! პირიქით, ძილს დანატრულებულნი არიან საბრალონი. მაშ, ძილი ნებისა, მხნე მუშაკნო! ღმერთმა შეგარგოთ. დაიმსახურეთ თქვენის ბეჯითი, თავდაუზოგველი... ჰმ... უსაქმურობით...

კინაღამ გადამავიწყდა. მეტის-მეტი უგულის-ყურო ვარ. აქაური მანდილოსნები (შიგა და შიგ შლიაპოსნებიც ერივნენ) სამძიმრის სათქმელად მივიდნენ ტ—ის ქვრივთან, რომელმაც ძვირფასი, ყველგან პატივცემული ქმარი დაჰკარგა. მანდილოსნებმა მიუტირეს, ივიშვიშეს, მუხლები გამოითქვიფეს, ცხვირსახოცის სმით თვალები კინაღამ დაითხარეს და მერე,—არ გაგაკვირვო, მკითხველო,—დიაღ, მისამძიმრების შემდეგ, თვალები მოიწმინდეს წრიპინ-სლუკუნით და... ლოტო მოითხოვეს. სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. უნდა აღვიარო, გონივრულადაც მოიქცნენ: დანაღვლებულს ქვრისუფალს დარდის გაქარვება დიაღაც ეჭირვებოდა. კარგი იარაღია მძიმე ვარამის გასაქარვებლად.

ყველა მხიარულებს, იცინის, ქეიფობს, ცეკვაობს, თამაშობს ნარდს, ლოტოს, დომინოს, ჭადრაკს, ბანქოს. მა რა ჰქმნან, რითი მოჰკლან გული-ჰია? ანაღვლე, თუ წუთისოფელი ფუქსავატობაში ეპარებათ! დარდი აქვთ? ან რა საჭიროა დარდი? გულს აფუჭებს. დაე, ვინც უნდა თავის მიზანს თავი შეაკლას სხვათა საკეთილდღეოდ! დაე, იბრძოლოს რჩეულმა საერთო მოთხოვნილებათა და საჭიროებათა მოსაპოებლად!

თელაველებს რა აწუხებთ? ქეიფი არა სჯობიან? სიმართლის აღსადგენად ბრძოლას, თავისუფლების მოსახვეჭად თავის მტერებს წითელ ნუნუას სმა არა სჯობიან? მაშ, თელაველებო: „ისევ და ისევ ღვინითა დროც გავატაროთ ლხინითა, ბალამ თარიარალე!“

ზოგს, ტფილისიდან მოსულ მოაგარაკეს, ჩვენებურს, სამშობლო ენა დავიწყებია და რუსულად ამტვრევს. ქართული ეთაკილებათ ასეთ ვაჟბატონებს! მოსწავლე ახალგაზდობასა და ნასწავლებზე ხომ ნულარას მკითხავთ. სულ რუსულობენ, რუსულად ჟღურტულობენ. ქართულად ლაპარაკი დაძველდა, მოდიდან გადავარდა და, როგორც ისინი ამტკიცებენ, მკვდარი ენაა, წარმავალი. ეჰ, მახლას! ზოგიერთი უმადური კი დაიწყებს ხოლმე ქართულად პტყელ-პტყელებს, მაგრამ აქეთ-იქიდან ტუჩ აბზუებით გადაჰხედავენ ხოლმე: დახე, დახე ვიღაც გაუთლელი ტეტია გაგვერევიაო!

აქაურ „ბირჟაზე“ სადამოობით ფაიტონების ძალიან ტაცობაა. ამ დროს მოვლენ ხოლმე აბოვიანცის დილიჟნები და მაშინ უნდა უყუროთ მეფაიტონეების თავგამოდებულს მოწოდებას რუსულად, თუმცა ყველა მეეტლე აქაური მკვიდრი არის და ქართული მშვენივრად იცის.

— ეი, ფაიტონ! ზანიატი ხარ, თუ სლაბოდნი?

— სლაბოდნი.

— ა ტი?

— მეც თავისუფალი გახლავართ (ეს, როგორც ეტყობა, რუსულს ვერ შესტკბობია—ქართულად უქცევს).

— ნუ პადვაი ობე!

ეს მომწოდებლები მეტ-წილად ვაჭრები გახლავან. რომ უბრალო ვაჭრები არ ვეგონოთ და რომ ჩვენც განათლებაში ფეხი გვიძევსო, რუსულად ლაპარაკობენ. მიამიტ თელაველებს აკვირვებენ. გვჯერა, გვიკვირს მათი სწავლა და გვასიამოვნებს.

ერთი რამ უნდა გიჩურჩულოთ და კი არ გამოთქვათ: თურმე აქაურნი გრძელ-კაბა გრძელწვეროსნებიც ბანქობანას ეტანებიან. თუმცა, შინაურულად რომ ვსთქვათ, რატომაც არ უნდა იბანქობანონ?! რათ უნდა ვუკიჟინოთ? სრულიადაც სათაკილო და სამარცხვინო არ არის! ქადაგებით გაჯერებულმა რომ ხან-დახან თავი გაირთონ ბანქოობით, განა საძრახისია?! მაშ განაგრძეთ, ხალხის სასიქადულო მამებო, თავდაუზოგველი სამსახური! გონებით დაქანცულებს ტეტია-ხალხის დარიგება-გაწვრთნის შემდეგ ვერავინაც ვერ გიკიჟინებთ ფარულს და ცხადს გართობას!

ა. დარჩიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარი, ხოლო მეორე დასჭრეს სამის ტყვიით. წაუღიათ 1200 მ. საჭიროა, რომ ფოსტას საკმაო რიცხვი ჩაფრებისა აცილებდეს, თორემ ამნაირი თავხედური ყაჩაღობა უკანასკნელი არ იქნება აქეთ. ხმა დადის, რომ ჩვენი ოლქის უფროსი გადაჰყავთ რუსეთში.

ართვინის ოლქში რამდენიმე ძველი მონასტერია, მაგალითად, ტბეთი, ფორტა, ოპიზა, ბერთა, დოლის ყანა, გენირაბათი და სხვანი. შენობანი დღესაც კარგად შენახულია, მაგრამ ყველა უპატრონოდ არის მიტოვებული. როცა ჰხედავთ ჩუქურთმებს, მხატვრობას და ქანდაკებას, აღტაცებაში მოსდიხართ. დრო მიდის და უპატრონობით ინგრევა. საჭიროა ჩვენმა არქეოლოგებმა და ისტორიკოსებმა მაინც შემოიარონ ხოლმე დრო გამოშვებით და აწერონ ეს ძველი ნაშთები.

გლ. გოგიაშვილი.

წერილი ლეჩხუმიდან

გელოვანების ტყე

სამი წელიწადია, რაც საგელოვანო ტყე დეხვირა იყოფდნენ, მაგრამ, გვგონებთ, არც წელს დასრულდეს. თავად გელოვანებს აზრადა აქვთ, რომ ეს ტყე გაჰყიდონ. მყიდველი უკვე აღმოჩენილა. ტყის გაყიდვა საზარალო იქმნება მთელის ლეჩხუმისათვის. ეს ტყე ასაზრდოებს აქაურ მკვიდრთ: ფიცრით, შეშით, ხარდნით, წკენით და სხვა. ჩვენის აზრით, ეს ტყე თუ რომ ვისამე კამპანიას ჩაუვარდა ხელში, ხალხი ვეღარაფრით ვეღარ ისარგებლებს. მე მგონია, ამას ბევრი დამტკიცება არ უნდა, რადგან ამის მაგალითს ბევრსა ვხედავთ. თუ კი ზოგიერთი მომაკვდინებელ ცოდვად არ ჩასთვლის ამ თქმას, ვიტყვი, ძრიელ კარგი იქნება, რომ ეს ტყე გადაეცეს მყიდველს ვადით, იმ პირობით, რომ, თუ ამ დადებულ ვადაზე აქაური ხალხი შესძლებს შეისყიდოს ტყე, იმ შემთხვევაში დარჩეს იმას რაც მომავლის წყაროთ და საშუალებათ ჩაითვლება მკვიდრთათვის.

ლაჯანელი ბანოვანი

დაბა-სოფლები

ივანდიდი (იმერეთი). ივანდიდი თითქმის ზედ აკრავს ხონს. ეს სოფელი ამ რამდენისამე წლის წინად შემოუერთდა ხონს. ივანდიდის მკვიდრთ ორის წოდების ხალხი შეადგენს: გლეხი და აზნაური. უკანასკნელთა რიცხვი თითქმის ემატება გლეხთა რიცხვს. შეძლება და ქონება არც ერთის არ არის მაინც-და-მაინც ხელსაყრელი, მაგრამ შედარებით მატერიალურად გლეხი უფრო მაღლა სდგას აზნაურზედ. უწინდელ ცხოვრების ნიშნები ჯერ კიდევ არ გამქრალა ივანდიდელ აზნაურთა შორის. ბატონობის სურვილი იმათ კიდევ ჩარჩენიათ გულში, მაგრამ წავიდა ძველი დრო.

ივანდიდელებისათვის თავსატეხ საქმეთ ეკკლესიის აშენება გამხდარა. ერთი გაიძახის, „ქვის ეკკლესია გავაკეთოთო"! მეორე: „ხისაო"! მესამეს ჰსურს გადააკეთოს ძველი ეკკლესია, რასაც უფრო ცოტა ფული დასჭირდება. ქვის ეკკლესიის აშენების მოტრფიალე (რომელიც დაჯდება არა ნაკლებ 20,000 მანეთისა) ისეთნი არიან, რომელთათვისაც 200 მანეთი არაფერს შეადგენს, წინააღმდეგნი არიან ისეთნი, რომელსაც 30 მანეთი წელიწადში არ შემოუდის, ხოლო თუ შემოუდის, იმით უნდა გამოჰკვებოს წვრილი ცოლშვილი, გაისტუმროს სახელმწიფო ბეგარა, ასწავლოს შვილებს, იყიდოს ტანისამოსი და სხვ. უმჯობესი იქნება ივანდიდელებმა ააგონ ხის ტაძარი, რომელიც დაუჯდებათ არა ნაკლებ 6,000 მანეთისა. 6000 მანეთიც საგრძნობლად დიდი თანხაა პატარა ივანდიდისთვის; 6000 მანეთი, რომ განაწილდეს შეძლების დაგვარად ივანდიდის მკვიდრთა შორის, უკანასკნელ დატაკს თუმანი მაინც შეხვდება.

ივანდიდში ჰსურთ დაარსონ ქალების ორ კლასიანი სკოლა. იმედია, სურვილს მალე განახორციელებენ. ივანდიდში ამ ჟამად სკოლა არ არსებობს; ამ რამდენისამე წლის წინად არსებობდა ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ახლა არც ის არის. უსკოლობა დიდი დასაკლისია. ივანდიდელებს არ შეუძლიათ ხონში მიაბარონ ბავშვები. აქ თხოულობენ, მოსწავლენი კარგად იყვნენ ჩაცმულნი, დახურულნი, დახეული ფეხსაცმელის ტარება აკრძალულია. ხონის ერთის სასწავლებლის უფროსმა, სხვათა შორის, გამოუცხადა მოსწავლეებს: „ვისაც კალოში არ გექნებათ, სკოლაში არ შემოუშვებთო"! ყველა ამ ხარჯს ღარიბ-ღატაკი გლეხი, რასაკვირველია, ვერ გაუძლებს.

ილია ბახტაძე

ჩხარი (იმერეთი). ამ ბოლო ხანებში სცენის მოყვარეებმა გაახშირეს წარმოდგენების მართვა დაბა-სოფლებში საქველ-მოქმედო აზრით. აი, სწორედ ამავე აზრით ჩხარშიაც გაიმართა 27 ივლისს წარმოდგენა სამკითხველოს დასაარსებლად. წარმოდგენის დღეს დაბას სხვანაირი ელფერი ედო და მცხოვრებნი ცოტათი სადღაის ძილისგან გამოფხიზლდნენ. წარმოდგენა ორის წლის წინადაც გამართეს სამკითხველოს დასაარსებლად, მაგრამ შემოსული ფული სად გაჰქრა, ცამ გადაყლაპა თუ დედამიწამ, ჩვენთვის გაუგებარია. სამაგიეროდ ახლანდელ წარმოდგენაზე შემოსული ფული, რომელიც ხარჯს გარდა 32 მან. 20 კ., გადაეცა ორ კეთილ-საიმედო ვაჭარს აქსენტი პატარიძეს და პეტრე კაჭკაჭიშვილს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩხარის ვაჭრები ცოტათიდენ შემწეობას მაინც აღმოუჩენენ ინტელიგენციას და სომეხ-ქართველნი, ეროვნების განურჩევლად, საძირკველს ჩაუყრიან ისეთ დაწესებულებას, როგორიც სამკითხველოა. წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა; ხალხიც ბლომად დაესწრო. კარგად ითამაშეს ვიქტორინა ჯუღელის და შოთაძის ასულებმა; კაცებში კი ბარნაბა ლოლაძემ და ალექსანდრე ლოლაძემ. წარმოდგენის შემდეგ ლექსები წაიკითხეს. 15 აგვისტოს კიდევ მოველით წარმოდგენის გამართვას სამკითხველოს სასარგებლოდ.

ყაჩაღობა რომ გახშირდა, ამის უარის-ყოფა არავის შეუძლია. ამის მიზეზი გახლავთ მშრომელ ხალხის ქონებრივად დაუძლურება და დაქვეითება. აი, ამ დღეებში ჩვენშიაც ჩაიდინეს ყაჩაღობა: ჩხარიდან ზესტაფონში მიმავალ დედაკაცს შუა-დღისას თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული კაცი.

მე—გი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო

სტამბოლი. როსტკოვსკის სულის მოსახსენებლად ბუიუქდერეში 3 აგვისტოს დილით რუსეთის საელჩოში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს მთელი დიპლომატიური კორპუსი დაესწრო.

სევასტოპოლი. შავის ზღვის ფლოტის რაზმი ოსმალეთის ზღვაში წავიდა კონტრ-ადმირალ კრიგერის უფროსობით.

მადრიდი. ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია დეკრეტი, რომლის ძალითაც ყველას, ვინც გაფიცვასა და აჯანყებაში მონაწილეობისათვისაა დასჯილი, ამნისტია ეძლევათ, იმათ გარდა, ვისაც კაცის მოკვლა, ქურდობა და ცეცხლის წაკიდება ჰბრალდებათ. რაც ამნაირ საქმეზე ჯერ დაუსრულებელი პროცესია, სულ ისპობა. მთავრობა ბეჯითად უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ მეფე ავად გამხდარიყოს და ჰლექიანთა სანატორიაში იმყოფებოდეს. მთავრობა ემუქრება პრესსას, ვინც ამნაირ ტყუილ ხმას გაავრცელებს, სამართალში მიიცემაო. პრეფექტებს ბძანება გაუგზავნეს ანარქისტთა კრებების თაობაზე; ყველა უცხოელი, ვისაც კი ესპანიაში ცხოვრების უფლება არა აქვთ, ესპანიიდან უნდა განიდევნენ.—საფრანგეთის ელჩი კამბონი სან-სებასტიანში მოვა და იქ ვილაფერდესა და გარეშე საქმეთა მინისტრს მოელაპარაკება მეფის საფრანგეთში მოგზაურობისა და საფრანგეთ ესპანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ.

სტამბოლი. ჰილმი-ფაშა იუწყება: პორტა მატყობინებს, რომ საკონსულოს დასაცველად დარაჯები დავაყენეთ და კონსულებს კონვოი დავუნიშნეთო.—ილდიზ-კიოსკში კიდევ მიიღეს დეპეშები ოსმალებისა და ალბანელებისაგან დაგვიხსენითო; თხოულობენ აგრეთვე, ნება მოგვეცით იმ ბოლგარელების წინააღმდეგ, რომლებსაც კომიტეტების მოქმედებაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებათ, ვიმოქმედოთო, თუ არა ჩვენ თითონ ჩვენის ხელით გავუსწორდებით ამ ბოლგარებსაო.—პორტა ატყობინებს რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის საელჩოებს, აჯანყებულთა რაზმმა მაჰმადიანთ სოფელში ზივაში, კოსტარიის მაზრაში, 94 სახლიდან 89 დასწვაო. კასტარიიდან მოსულმა სამხედრო რაზმმა დიდი ზარალი მისცა ბოლგართა რაზმს; ოსმალთ რაზმში ერთი მოჰკლეს და 3 დასჭრეს.—29 ივლისს, ბრძოლის დროს გუმენჯთან ბოლგართ რაზმები სამხედრო დარაჯებს თოფსა და დინამიტის ბომბებს ესროდნენ. ერთი ბოლგარი მოჰკლეს და ბევრიც ტყვედ დაიჭირეს. დანარჩენი ბოლგარნი გაიქცნენ.

5 აგვისტო

პეტერბურგი. „პრავიტ ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია: 1) უმაღლესი რესკრიპტი ხელმწიფე-იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა პატრიოტულ ინსტიტუტისა უფროსის ეკატერინე ალექსის ასულის ვოლკონსკის მიმართ, ინსტიტუტის უფროსობის 20 წლის შესრულების გამო; 2) საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარი მზრუნველთა მიმართ, რომელშიაც მოთავსებულია სწავლის პროგრამმა რეალურ სასწავლებლებისათვის, გიმნაზიისათვის და პროგიმნაზიებისათვის 1903—1904 სამოსწავლო წლისა.

სტოკჰოლმი. გემი „ფრიტიოფი", რომელმაც უნდა მოსძებნოს ნორდენშილდის სამხრეთ პოლუსის ექსპედიცია, მილდიდან გამოვიდა გილდენის უფროსობით. გემზე 23 კაცია. დაბრუნება მოსალოდნელია მხოლოდ 1904 წლის აპრილში.

სოფია. აქაურ სერბების თაოსნობით პანაშვიდი გადაიხადეს მეფე ალექსანდრეს და დედოფალ დრაგას სულის მოსახსენებლად. იგივე პირნი მეორე პანაშვიდს გადაიხდიან, როცა მკვლელობის შემდეგ 3 თვე გავა.—საერო კრებას ოქტომბერში დაითხოვენ, არჩევნები დეკემბერში დაიწყება.—რკინის გზაზე სალონიკს ახლო მეორედ უნდოდათ აფეთქება მოეხდინათ.

სად. ტოროშინო. დილით მობრძანდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული. მათ უდიდებულესობის დასახვედრად შეიკრიბნენ ადგილობრივი მთავრობა, თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, ერობები და გლეხების დეპუტაცია. დეპუტატები მიწვეულ იქმნენ სალონ-ვაგონში, სადაც ჰქონდათ ბედნიერება მათ უდიდებულესობის წინ წარდგენილიყვნენ. წარადგენდა პსკოვის გუბერნატორი. წარმომადგენლებმა ხელმწიფე იმპერატორს მიართვეს პურ-მარილი, ხელმწიფე-იმპერატრიცას კი—ცოცხალ ყვავილების თაიგული. მის უდიდებულესობათ ღირსი გახადეს თავად აზნაურები და სხვა და სხვა რამ გამოჰკითხეს, ერობის წარმომადგენლებს კი ემუსაიფნენ. ამ მიღების შემდეგ, დილის მეცხრე საათზედ მათნი უდიდებულესობანი და მისი უმაღლესობა საიმპერატორო მატარებლით პსკოვს წაბრძანდნენ დიდ ადლუმის სანახავად, რომელიც დღესვე დაიწყო უმაღლესის თანადასწრებით.

ნიჟნი ნოვგოროდი. იარმუკის ვაჭრების რწმუნებულთა კრებაზე, რომელსაც 150 კაციდან 70 დაესწრო, გუბერნატორმა სთქვა, საჭიროა იარმუკის გამართვის მოწესრიგებაზე მოვილაპარაკოთო.

კონსტანტინოპოლი. თითქმის 1/3 სალონიკის მე-3 კორპუსის 89 ბატალიონისა მონასტირის ვილაეტშია მოთავსებული, და, თუ აქამდის ამბოხება არ აღმოიფხვრა, ეგ იმიტომ, რომ ოსმალეთის მთავრობა დიდს სისხლის ღვრას ერიდება და სცდილობს, მეამბოხეებს იარაღი დააყრევინოს, გაქცეული სოფლელები კი თავის სოფლებშივე დააბრუნოს. დიბრის და კასტორიას კაზებში (ოლქში) ეს მოხერხდა. ის რაზმი, რომელსაც კრუშევო ეჭირა, ძალით კი არ იყო განდევნილი, თავისივე ნებით დაანება თავი და სხვა ადგილას გამაგრდა. ოსმალებმა ამ ადგილსაც ალყა შემოარტყეს. საფიქრებელია, რომ ოსმალებმა განგებ მისცეს რაზმს კრუშევოდან წასვლის საშუალება.—კალიცემ ხელ-მეორედ წარუდგინა დიდს ვეზირს მტკიცე მოთხოვნა, რომ ალმოსავლეთის რკინის გზა უკეთ იყოს დაცული.

კოპენჰაგენი. კრიტის გენერალ-გუბერნატორი მთავრის შვილი გიორგი აქ მოვიდა.

კონსტანტინოპოლი. რკინის გზისს სამმართველო იძულებულია მოითხოვოს იმ ზარალის და დაშავების ზღვევა, რომლებიც რკინის გზის მოსამსახურეებს მოუვიდათ. როგორც ეტყობა, პორტას ეს მოთხოვნა სამართლიანად მიაჩნია.

ბელგრადი. უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომც ბევრს ოფიცერს, რომელთაც შეთქმულობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მიერთმიოს მეფისათვის საჩივრის ქაღალდი, იმ ოფიცრებს, რომლებიც შეთქმულობაში მონაწილეობას ღებულობდნენ, უფრო დიდს ყურადღებას აქცევენო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 1 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,40	
ბერლინზე "	46,30	
პარიზზე "	—	
ბირჟის დისკონტი	5-6 1/2%	
4% სახელმწიფო რენტა	99 5/8	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 3/4	მყიდ.
4 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა	95 1/8	"
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	449	გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	343	"
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291 1/2	"
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
4 1/2% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	188	"

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლ. [illegible] პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—205)

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Августа, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)